დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით – ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

ოქმი № 10

06.09.2019 წელი ქ. დმანისი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით – ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა ჩატარდა დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში 2019 წლის 06 სექტემბერს 11: 00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარე: თეიმურაზ აფრასიძე

მდივანი: ლომა გადრანი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1: თეიმურაზ აფრასიძე

2: ემილ იბრაგიმოვი

3: აიდინ შარიფოვი

4: ზაურ გრიგალაშვილი

5: ნიაზ მაჯითოვი

კომისიის სდომას ესწრებოდა:

კომისიის სხდომას ესწრება კომისიის 5 წევრი , კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. სხდომის თავმდჯდოარემ კომისიას დასამტკიცებლად წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი;

1. დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შპს ,,RMG gold-''სათვის მიწის ნაკვეთზე (ს/კ 82.12.45.380) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

2. დმანისის მუნიციპალიტეტის 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმისა და 2019 წელს დმანისის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების თაობაზე'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №50 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კომისიის დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

მოისმინეს:

თეიმურაზ აფრასიძე - 1 მერიაში წარმოდგენილი შპს RMG gold-ის მომართვის საფუძველზე, რომელიც ეხებოდა სოფ; დიდი დმანისში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 82.12.45.380) სამსხვრევი კომპლექსის ლეგალიზების მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებას, მუნიციპალიტეტის მერიიდან აღნიშნულ საკითხზე წარმოდგენილი იქნა მერის ბრძანება. საქართველოს კანონის საქართველოს სივრცით დაგეგმარების, აქიტექტორული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 43-მე მუხლის შესაბამისად საჭიროებს საკრებულოს თანხმობას.

თეიმურაზ აფრასიძე -2 სოფ იალუფლოსა და სოფ ტნუსში სარიტუალო დარბაზების სარეაბილიტაციო სამუშაოებს დაემატა 34109 ლარი, აღნიშნული თანხის გადატანა მოხდა სოფლის პროგრამის თანადაფინანსების პუნქტიდან.

2019 წელში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენას დაემატა 42091 ლარი. სოფლის პროგრამის თანადაფინანსების პუნქტიდან, ხელშეკრულების გაფორმების შედეგად მორჩენილი ეკონომიებიდან და საზედამხედველო/საექსპერტო მომსახურების შესყიდვა ტენდერის შედეგად შემცირებულითანხებიდან

2019 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თანადაფინანსება შემცირდა 55000 ლარით.

2019-2020 წლებში საზედამხედველო/საექსპერტო მომსახურების შესყიდვა ტენდერის შედეგად შემცირდა 21200 ლარით.

1. აზრი გამოთქვეს: ზაურ გრიგალაშვილმა , ემილ იბრაგიმოვმა, განსხვავებული აზრი არ დაფიქსირდა.

1. დაადგინეს:

კომისიამ მოიწონა და გადაწყვიტა წარედგინოს აღნიშნული საკითხი საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო სხდომა სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა დახურულად.

კომისიის თავმჯდომარე: **თ. აფრასიძე**

მდივანი: ლ.გადრანი